გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის N77 საჯარო სკოლა

LEPL Tbilisi Grigol Kobakhidze Public School N77

დავით ბაზოვი - ადამიანი ძეგლის გარეშე

David Baazov- A man without a monument

გრაფიკული ნახატების ავტორები: ქეთო იაღანაშვილი, გიორგი ბოქოლიშვილი, ნინო ბექაური, ანანო ბროლაძე, ლუკა მარჯანიძე, ნიკოლოზ სარდანაშვილი, ანდრია ერემაშვილი, ბარბარე ონიანი

გრაფიკული ნოველის ავტორი: ელენე მელქაძე, ანანო ბროლაძე

Paintings drawn by: Keto Iaghanashvili, Giorgi Bokolishvili, Nino Bekauri, Anano Broladze, Luka Marjanidze, Nikoloz Sardanashvili, Andria Eremeishvili, Barbare Oniani, Elene Melkadze

Author of graphical novel: Elene Melkadze, Anano Broladze

მასწავლებელი: თამუნა მაჭარაშვილი

Teacher: Tamuna Macharashvili

საგანი: სამოქალაქო განათლება, ისტორია

Subject: Civil education, History

თბილისი, 2023

Tbilisi, 2023

წინათქმა/შესავალი

ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენ შევქმენით გრაფიკული ნოველის კრებული, რომლის მიზანია ხალხს გააცნოს ებრაული მემკვიდრეობა და ადამიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მის შემონახვაში. ეს არის ქართველი ებრაელი-დავით ბაზოვი. ის თავდაუზოგავად შრომობდა ქართველი ებრაელებისა და საკუთრივ ქართველების განათლებისათვის.

ამ ნოველაში თქვენ გაეცნობით დავით ბაზოვის ცხოვრებას, მის თავგადასავალს, გაღებულ მსხვერპლს და მიზანს-გადაერჩინა ქართველი ებრაელები და უზრუნველყო ისინი იმ ცხოვრებით, რომელსაც ყველა იმსახურებს.

Introduction

Dear readers!

We have created a collection of graphic novels that aim to introduce people to Jewish heritage and the man who is instrumental in preserving it. This is Davit Baazov, a Georgian Jew. He worked selflessly for the education of Georgian Jews and Georgians in particular.

In this novella, you will get to know the life of Davit Baazov, his adventures, the sacrifices he made and his goal - to save Georgian Jews and give them the life they deserve.

The biography of David Baazov

დავით ბააზოვი ქართველი ებრაელი 1883 წელს დაიბადა საქართველოს ქალაქ ცხინვალში, რომელიც დღეს ოკუპირებულია რუსეთის მიერ. დავით ბააზოვი იყო ქართველ ებრაელთა სათვისტომოს ერთ-ერთი ლიდერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოში სიონისტური მოძრაობის წარმომადგენელი, რაბინი. მან ჩამოაყალიბა ცნობილი თეზისი: „ქართველი ებრაელები არიან ეთნოსით ქართველები და რელიგიით ისრაელიტები“.

Davit Baazov, a Georgian Jew, was born in 1883 in the Georgian city of Tskhinvali, which is currently occupied by Russia. Davit Baazov was one of the leaders of the Georgian Jewish community, a public figure, a representative of the Zionist movement in Georgia, a rabbi. He formulated the well-known thesis: "Georgian Jews are Georgians by ethnicity and Israelis by religion."

დავით ბააზოვმა დაწყებითი განათლება ცხინვალის სინაგოგაში მიიღო. მოგვიანებით სწავლა გააგრძელა საზღვარგარეთ, სიონისტური განათლების ორ ცენტრში, სლუცკსა და ვილნიუსში, სადაც დაეუფლა ებრაულ ფილოსოფიას.

Davit Baazov received his primary education in the synagogue of Tskhinvali. Later, he continued his studies abroad, in two centers of Zionist education, in Slutsk and Vilnius, where he mastered Jewish philosophy.



1903 წელს საქართველოში დაბრუნდა და შეუერთდა სიონისტურ მოძრაობას. სიონიზმი ეს არის იდეოლოგია, რომლის საფუძველზე განვითარდა ებრაული ნაციონალისტური მოძრაობა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა, ებრაელი ერის გათავისუფლებას და სახელმწიფოს შექმნას ისრაელ-პალესტინის ტერიტორიაზე. დავით ბაზოვის დაუღალავი შრომით საქართველოს ებრაელებს შორის გაჩნდა სიონისტური ორგანიზაციის წრეები.

In 1903, he returned to Georgia and joined the Zionist movement. Zionism is the ideology based on which the Jewish nationalist movement developed, which in turn meant the liberation of the Jewish nation and the creation of a state in the Israel-Palestine territory. With the tireless work of Davit Baazov, circles of the Zionist organization appeared among the Jews of Georgia.

1904 წელს დავით ბაზოვმა საქართველოს ერთ-ერთი ქალაქში, ონში დაიწყო რაბინად მოღვაწეობა. ონში ის წერა-კითხვის გამავრცელებელი საქმიანობით იყო დაკავებული. ონის სინაგოგის ეზოში დაუარსებია საბაზო სკოლა, რომელსაც თავად უძღვებოდა, სკოლამ ადგილობრივების განათლებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

In 1904, Davit Baazov started working as a rabbi in Oni, one of the cities of Georgia. In Oni, he was engaged in spreading literacy. He founded a basic school in the yard of the Oni synagogue, which he led, the school played a significant role in the education of the locals.

ამ ქალაქში მისი მოღვაწეობის საჩვენებლად გამოდგება ერთი უნიკალური მაგალითი. დავით ბაზოვის გარდაცვალების შემდეგ, 1951 წელს, საბჭოთა კავშირში ანტისემიტური მოძრაობა უკიდურესად გააქტიურდა. უშიშროების თანამშრომლები დავით ბაზოვის მიერ დაფუძნებულ, გაძლიერებულ სამრევლოსაც მიადგნენ და ონის სინაგოგის საჯარო დაწესებულებად გადაკეთება განიზრახეს. ხელოსნების თანხლებით შენობასთან მისულ კომუნისტ ფუნქციონერებს კარი ჩარაზული დაუხვდათ. ქართველი და ებრაელი, ქრისტიანი და იუდეველი დედები თავიანთ მცირეწლოვან შვილებთან ერთად გამოიკეტნენ სინაგოგაში და ტირილით, ხმაურით აპროტესტებდნენ სამლოცველოს განადგურების მცდელობას. ორი ერის თანადგომამ შედეგი გამოიღო, რაც დავით ბაზოვის მოღვაწეობის შედეგი იყო.

One unique example will serve to illustrate his work in this city. After the death of Davit Baazov in 1951, the anti-Semitic movement in the Soviet Union became extremely active. Security officers also approached the strengthened parish founded by Davit Baazov and intended to transform the Oni synagogue into a public institution. Communist functionaries who came to the building accompanied by craftsmen found the door barred. Georgian and Jewish, Christian and Jewish mothers with their young children locked themselves in the synagogue and protested the attempt to destroy the chapel with cries and noise. The solidarity of the two nations yielded results, which we can freely attribute to Baazov's work in Oni.

დავით ბააზოვის პოლიტიკური ღირებულებები ქართველ ებრაელთა დარაზვმასა და გააქტიურებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, ბააზოვი მთელ საქართველოში მოგზაურობდა და, შესაბამისად, სხვადასხვა ქალაქში უწევდა ცხოვრება.

Davit Baazov's political values required the mobilization of Georgian Jews and cooperation with an active civil society. Therefore, Baazov traveled all over Georgia and, therefore, had to live in different cities.



მაგალითად, 1918 წლისათვის ბაზოვი ახალციხეში აღმოჩნდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კავკასიის ეს რეგიონი თურქული ოკუპაციის საფრთხის ქვეშ დადგა. მთელი მაზრა დროებით დაიკავეს თურქებმა, რომლებიც ყველა მეთოდით ცდილობდნენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის შევიწროებასა და დასჯას. ბუნებრივია, უმძიმესი გახლდათ ახალციხელი სომხების მდგომარეობაც, რომელთაც სამხედროები ფიზიკურ განადურებასაც კი უქადდნენ. ქართველთა და სომეხთა მთავარი ქომაგი, მფარველი და ოკუპანტებთან შუამავალი დავით ბაზოვი აღმოჩნდა, რომელმაც უამრავი ახალციხელის სიცოცხლე გადაარჩინა.

For example, by 1918, Baazov found himself in Akhaltsikhe. After the First World War, this region of the Caucasus came under the threat of Turkish occupation. The entire Mazra was temporarily occupied by the Turks, who tried to harass and punish the local Georgian population. Naturally, the situation of the Armenians of Akhaltsikhe was the worst, and the military even punished them physically. Davit Baazov turned out to be the main supporter, protector and mediator of the Georgians and Armenians, who saved the lives of many Akhaltsikhels.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, უმნიშვნელოვანესი იყო ებაელების როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

On May 26, 1918, Georgia regained its independence, the role of Jews in the development of the Georgian state was especially important.

1918 წელსვე დავით ბაზოვმა დაიწყო გაზეთ „ებრაელის ხმის” გამოცემა. გაზეთი გახდა მთავარი შტაბი, სადაც ქართველ ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების სამოქმედო გეგმები ისახებოდა. ამავე გამოცემის თანამშრომელთა აქტიური მხარდაჭერით მოხერხდა ბეით ქნესეთის(სინაგოგა) ოქროს მარაგიდან ახლადშექმნილი და უკიდურესად გაჭირვებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინის დახმარებაც. ქართველმა ებრაელებმა ერთ-ერთმა პირველებმა შეიტანეს სოლიდური თანხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ ბიუჯეტში.

In the same year, Davit Baazov started to publish the newspaper "Jew’s voice". The newspaper became the main headquarters where action plans for the return of Georgian Jews to Palestine were drawn up. With the active support of the employees of the same publication, it was possible to help the newly created and extremely needy State Treasury of the Democratic Republic of Georgia from the gold reserves of the Beit Knesset (Synagogue). Georgian Jews were one of the first to contribute a large amount to the first budget of the Democratic Republic of Georgia.

დავით ბაზოვი საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც არ წყვეტდა. თანამოაზრეებთან და თავის შვილ, დრამატურგ და მწერალ გერცალ ბაზოვთან ერთად, ჩამოაყალიბა ებრაული სკოლები მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც სხვა საგნებთან ერთად ისწავლებოდა ივრითი და ებრაელი ხალხის ისტორია. ეს სკოლები რამდენიმე ეთნიკური ჯგუფისათვის დაწყებითი, არაკომუნისტური ცოდნის წყარო გახდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რეჟიმმა საქართველოში ებრაელთა ღია შევიწროება, მათი გაზეთებისა და საჯარო დაწესებულებების დახურვა 1924 წლის ანტიკომუნისტური აჯანყების შემდეგ დაიწყო. გამოთქმუია ვარაუდი, რომ ქართველი ებრაელები და მათი ლიდერი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ფარული პარტნიორები იყვნენ.

Davit Baazov did not stop his educational activities even after the Sovietization of Georgia. Together with his associates and his son, playwright and writer Gertzal Baazov, he established Jewish schools throughout Georgia, where Hebrew and the history of the Jewish people were taught among other subjects. These schools became the primary source of non-communist knowledge for several ethnic groups. It should be noted that the Soviet regime began to openly harass Jews in Georgia, closing their newspapers and public institutions after the 1924 anti-communist uprising. It is assumed that the Georgian Jews and their leader were secret partners of the fighters for the independence of Georgia.



1925 წელს დავით ბაზოვმა ხელისუფლებისაგან ნებართვა მიიღო ქართველი ებრაელების მცირე ჯგუფთან ერთად მუდმივად საცხოვრებლად წასულიყო ისრაელში. იგი ამ ჯგუფთან ერთად გაემგზავრა და მოამზადა ნიადაგი სხვა ებრაელების ისრაელში დასაბრუნებლად, ამისთვის მან ბრიტანული სამანდატო ხელისუფლებისაგან მიიღო თანხმობის სერთიფიკატები, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ არ დართო ნება ებრაელების სხვა ჯგუფის ისრაელში გამგზავრებაზე. 1920-1930-იან წლებში ბაზოვი აქტიურად იყო დაკავშირებული რუსეთის ჯერ კიდევ ლეგალურ სიონისტურ ორგანიზაციებთან და მათ ხელმძღვანელებთან, საბჭოთა ხელისუფლებისგან წნეხის გაძლიერების შემდეგ კი, არალეგალურ საქმიანობაზე გადასულ სიონისტურ ჯგუფებთან;

In 1925, Davit Baazov received permission from the government to permanently settle in Israel with a small group of Georgian Jews; He traveled with this group and prepared the ground for the return of other Jews to Israel, for which he received certificates of consent from the British mandate authorities, but after returning to Georgia, the Soviet authorities did not allow another group of Jews to go to Israel.
In the 1920s and 1930s, Baazov was actively connected with the still legal Zionist organizations of Russia and their leaders, and with the Zionist groups that switched to illegal activities after the pressure from the Soviet government intensified;



1938 წელს იგი თავის შვილთან გერცალ ბაზოვთან ერთად დააპატიმრეს არალეგალური სიონისტური საქმიანობის გამო. მათ ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია. სასამართლომ მამა-შვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომელიც შემდეგ დავით ბაზოვის შემთხვევაში ციმბირში გადასახლებით შეცვალეს. სამწუხაროდ, გერცალ ბაზოვი საბჭოთა რეჟიმმა იმსხვერპლა, ის დახვრიტეს.

In 1938, he was arrested along with his son Gertzal Baazov for illegal Zionist activities. They were accused of anti-Soviet agitation. The court sentenced father and son to death, which was later replaced by exile to Siberia in the case of Davit Baazov. Unfortunately, Gertzal Baazov was killed by the Soviet regime, he was shot.

1945 წელს დავით ბაზოვი დაბრუნდა გადასახლებიდან და ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, საბჭოთა რეჟიმმა, სტალინის მმართველობამ ორი უნიჭიერესი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

In 1945, Davit Baazov returned from exile and died two years later, the Soviet regime, Stalin's rule, took the lives of two talented people.

საინტერესო და აღსანიშნავია დავით ბაზოვის ცხოვრებიდან 1913 წელს ფრანკფურტის ებრაელთა საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობა. წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან ერთმანეთს უზიარებდნენ ებრაელთა სასტიკი დევნისა და შევიწროვების ფაქტებს. კონგრესზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ებრაელთა წარმომადგენელი - რაბინი დავით ბაზოვი, რომლის სიტყვებმაც გააოცა ევროპული საზოგადოება: „ქვეყანა, საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ კავკასიაშია. მას საქართველო ჰქვია. ეს არის ქვეყანა, სადაც არასოდეს არ ყოფილა ებრაელთა რბევა. მის შვილებს არასოდეს არ აუწიოკებიათ ჩემი ხალხი... ტკბილად და ძმურად ვცხოვრობთ...“

An interesting and noteworthy part of Davit Baazov's life is his participation in the International Congress of Jews in Frankfurt in 1913. Representatives from different countries shared with each other the facts of cruel persecution and harassment of Jews. Rabbi Davit Baazov, the representative of the Jews of Georgia, gave a speech at the congress, whose words surprised the European community:
"The country I came from is in the distant Caucasus. It is called Georgia. This is a country where there has never been a Jewish raid. Its children have never harmed my people... We live sweetly and brotherly...''

დავით ბაზოვი ქართველი ებრაელების ღირსეული წარმომადგენელია, რომელიც ამ ორი ერის 26 საუკუნოვანი მეგობრობის, განათლების, საბჭოთა ოკუპაციასთან ბრძოლის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

Davit Baazov is a worthy representative of Georgian Jews, who can be considered a symbol of 26 centuries of friendship, education, and struggle against the Soviet occupation of these two nations.